ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა
საერთაშორისო ორგანიზაციებთან
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

MISSION PERMANENTE DE LA GEORGIE
AUPRES DE L'ONU ET DES AUTRES
ORGANISATIONS INTERNATIONALES A GENEVE

12464-49-3-202003171711

№ 12464-49
17/03/2020

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ანა გიორგობიანს

ქალბატონო ანა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მ.წ. 17-21 მაისს, ჟენევაში დაგეგმილია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 73-ე ასამბლეა, რომლის ფარგლებში პარალელური ღონისძიების დასაგეგმად განაცხადების მიღება დაიწყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ პარალელური ღონისძიებებისთვის გამოყოფილი სივრცეების შეზღუდული რაოდენობის გამო, შემუშავდა შემდეგი კრიტერიუმები:

1. თითოეულ ქვეყანას შეუძლია მხოლოდ ერთი პარალელური ღონისძიების ინიცირება ან თანასპონსორობა;
2. პარალელური ღონისძიებების შერჩევის შემდეგ, თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა მიეცემა დაასპონსოროს პარალელური ღონისძიება მ.წ. 10 მაისამდე (cosponsorship@who.int);
3. პარალელური ღონისძიების თემა უნდა შეესაბამებოდეს ასამბლეის თემატურ საკითხებს;
4. პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებსაც სხვადასხვა რეგიონის წევრი ქვეყნები დაასპონსორებენ;
5. ასამბლეის ფარგლებში მხოლოდ 8 პარალელური ღონისძიება გაიმართება (ღონისძიებისთვის ოთახი უსასყიდლოდ გამოიყოფა, გასათვალისწინებელი იქნება მხოლოდ ქეითერინგისა და თარჯიმნების ხარჯები);

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, გვაცნობოთ პარალელური ღონისძიების ორგანიზების თაობაზე საქართველოს მხარის მზადყოფნის შესახებ (განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა მ.წ. 10 აპრილი).

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,
ვიქტორ დოლიძე

მუდმივი წარმომადგენელი

რიხარდ ვაგნერის ქ. 1, 1202 ჟენევა, შვეიცარია ‖ Rue Richard Wagner 1, 1202 Genève
ტელ./Tel: +41 (22) 919-10-10; ფაქსი/Fax: + 41 (22) 733-90-33; ელ-ფოსტა /E-mail: geomission.geneva@mfa.gov.ge